

STEM ოლიმპიადა 2024 – 2025

გზამკვლევი სკოლებისთვის, გუნდების შესაქმნელად

(გზამკვლევი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მისი გამოყენება ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის სავალდებულო არ არის. ყველას სკოლას შეუძლია გუნდი შექმნას სასურველი სქემითა და პროცედურით. გზამკვლევი მომზადებულია STEM ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია კომაროვის სკოლის პროფესიონალებისგან)

STEM ოლიმპიადაში სკოლებს თითო გუნდით მონაწილეობა შეუძლიათ, სწორედ ამიტომ, შესაძლოა სკოლებში წარმოიშვას გუნდის წევრების შერჩევის პრობლემა. ასეთ შემთხვევაში, STEM ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი, სკოლებს, შიდა შესარჩევი წერების ჩატარების შემთხვევაში სთავაზობს რეკომენდაციებს:

1. ოლიმპიადის პირველ (თეორიულ) ტურზე, სკოლის გუნდიდან სამმა მოსწავლემ მათემატიკის დავალებები უნდა შეასრულოს. შესაბამისად, სკოლის გუნდში სამი „მათემატიკოსი“ მოსწავლე უნდა მოხვდეს. აღნიშნული მოსწავლეები უნდა იყვნენ მე -7 დან მე -11 კლასის ჩათვლით. მიზანშეწონილია:
 - ა) გუნდის „მათემატიკოსი“ წევრების შესარჩევად სკოლამ ჩაატაროს წერა და მიღებული ქულებით შეარჩიოს უმაღლესი შედეგის მქონე მოსწავლეები;
 - ბ) შიდა წერების ჩატარებისას იხელმძღვანელოს STEM ოლიმპიადის მათემატიკის პროგრამით, რომელიც ატვირთულია STEM ოლიმპიადის სარეგისტრაციო გვერდზე.
2. ოლიმპიადის პირველ (თეორიულ) ტურზე, სკოლის გუნდიდან ორმა მოსწავლემ ფიზიკის დავალებები უნდა შეასრულოს. შესაბამისად, სკოლის გუნდში ორი „ფიზიკოსი“ მოსწავლე უნდა მოხვდეს. აღნიშნული მოსწავლეები უნდა იყვნენ მე -7 დან მე -11 კლასის ჩათვლით. მიზანშეწონილია:
 - ა) გუნდის „ფიზიკოსი“ წევრების შესარჩევად სკოლამ ჩაატაროს ჩაატაროს წერა და მიღებული ქულებით შეარჩიოს უმაღლესი შედეგის მქონე მოსწავლეები;
 - ბ) შიდა წერების ჩატარებისას იხელმძღვანელოს STEM ოლიმპიადის ფიზიკის პროგრამით, რომელიც ატვირთულია STEM ოლიმპიადის სარეგისტრაციო გვერდზე.
3. ა) მიზანშეწონილია, შიდა წერების ტესტების შედეგებისას ყურადღება მიექცეს უფრო მეტად ლიაბოლოიან ამოცანებს;
ბ) მიზანშეწონილია სკოლის შიდა წერები მათემატიკაში და ფიზიკაში არ დაემთხვეს ერთმანეთს, რადგან შესაძლოა ზოგიერთმა მოსწავლემ მონაწილეობა ორივე საგანში მიიღოს, შემდეგ კი, იმ საგნით მოხვდეს სკოლის გუნდში, რომელშიც უფრო მაღალი შედეგი აიღო;
გ) მიზანშეწონილია, სკოლის შიდა წერების ჩასატარებლად გამოიყოს სკოლაში სივრცე და დამკვირვებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო გარემოს წერების დროს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები გაივლიან ერთგვარ „რეპეტიციას“ და უფრო მეტად იქნებიან მზად ოლიმპიადისთვის;
დ) ვინაიდან, ოლიმპიადაზე, გუნდის ფინალურ ტურში გადასვლის შემთხვევაში მოსწავლეებს მოუწევთ STEM დავალებების გუნდურად შესრულება და ინჟინერიაში ცოდნის დადასტურება, გუნდის შედეგების მიზანშეწონილი იქნება უპირატესობა მიენიჭოს (მაგალითად, შიდა შესარჩევი წერებზე დაემატოს მიღებული ქულის 10 %) ისეთ მოსწავლეებს, რომლებმაც მიკროკონტროლერი Arduino -ს შესახებ უკვე იციან და გარკვეულ ცოდნასაც ფლობენ ამ მიმართულებით. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ გუნდის ფინალში გადასასვლელად მხოლოდ Arduino -ს ცოდნა მოსწავლეებს ნაკლებად დაეხმარებათ. ფინალამდე მისასვლელად გუნდის სამი წევრისთვის მათემატიკის, ხოლო გუნდის ორი წევრისთვის ფიზიკის ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანი! - ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი არ უწყევს რეკომენდაციას გუნდის წევრების შერჩევას მხოლოდ მიკროკონტროლერ Arduino -ს ცოდნის მიხედვით (პირველ თეორიულ ტურში მოსწავლეებს Arduino-ს ცოდნა არ მოეთხოვებათ). იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეებს არ ეცოდინებათ აღნიშნული მიკროკონტროლერის დაპროგრამება და მოხმარება, ფინალში გადასული გუნდების მენტორებისთვის და გუნდის წევრი მოსწავლეებისთვის (სადაც უკვე ამის ცოდნა მოეთხოვებათ მოსწავლეებს) ჩატარდება ინტენსიური 3 თვიანი გადამამზადებელი უფასო კურსი Arduino-ს შესასწავლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ: stem@komarovi.edu.ge

ან დაგვიკავშირდით: 593 33 21 03.

STEM ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი წარმატებებს გისურვებთ!